


2  
1952

ჩვენს საზღვართან ამ მუნდირიან ტურების გამოჩენა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ეს სსრ კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტების მიერ ომის მზადების ერთ-ერთი რგოლია.

ამხ. ნ. ა. ბულგანიძის სიტყვიდან  
საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX  
ყრილობაზე.



საბჭოთაოების სსრ სამ. წიგნი  
№ 262  
შემოქმედდა 10/21 52  
1

ჩვენს საზღვართან

მუნდირიან მგლებს გვერდით  
გვხურდა ტურა დაგვეხატა,  
მაგრამ ხურათს თავისთავად  
კუდაბზეკით მიემატა  
ერთ დოლარად გაყიდული  
პანთურკული ჯიშის კატა.

ნახ. გ. ლომიძისა


ნ ი ა ნ ბ ი

„ფაქტები მოწმობენ, რომ ინგლისის არც ერთ მტერს არ მიუყენებია მისთვის ისეთი მძიმე ხარალი და ნაწილ-ნაწილ არ წაუფრთხვევია მისთვის იმპერია, როგორც ამას მისი ამერიკელი „მეგობარი“ სჩადის.

საქართველო

ნაბ. გ. ლომიძისა

ამს. გ. მ. მალენკოვის მოხსენებიდან საქართველოში მუნიციპალური პარტიის (ბ) XIX ყრილობაზე



ჯონ ბულს პირი წყლითა აქვს ხავსე, ხმას ველარ იღებს და ახლა მხოლოდ გულში ამზობს ძველ ქართულ ანდაზას: — ქმა ძმისათვის, შავი ღლისათვის!

### კაცხადებთ კონკურსს!

ჩვენში, როცა ენის სინმინდებზე ჩამოვარდება ხოლმე სიტყვა, მრავალ საბჭოთა მოსამსახურეს, დისა და პატარას ჰგონია, რომ ეს მხოლოდ მწერლებს შეეხება და გამკიდავი ლიმიდით იხსენებენ ლექსის ან მოთხრობის იმ ყბადალებულ სტრიქონებს, რომელიც ეს-ეს არის სააშკარაოზე გამოიტანა ილბიანმა კრიტიკოსმა, მაშინ როცა ზოგიერთი ქართველი ექიმი და ინჟინერი, იურისტი და სამეურნეო მუშაკი ქართული ენით კი არა, ჩიქორთუდითაც ვერ გადმოგცემთ თავის აზრს.

ხოლო გაუგებარმა და არასწორი ქართულით დაწერილმა საექიმო დასკვნამ ან საამუშებლო პროექტმა ცუდ ლექსზე ნაკლები უბედურება როდი შეუძლია დამართოს ადამიანს?!

საქფილარმონიის დირექტორს მოწერილობა მოუვიდა, დახედა ქალადეს და უღვაშებში გაელიმა. „გოფდექტის დირექტორს, პღეხანოვის ქურა“. დაკონიურად დაებეჭდა მემანქანეს. დირექტორს გამორჩენილ „ი“-ზე გაელიმა. ჩვენ კი ვკითხვოდით რატომ „გოფდექტი“ ან „გოფდექტი“? აბა, სიტყვა-სიტყვით აგვიხსნას ვინმემ რას ნიშნავს იგი. „გოფდექტი“ უკვე თორმეტი წელიწადია რაც აღარ არსებობს.

თუ შემოკლებული სახედწოდება საჭიროა, რატომ ქართულ სიტყვებიდან არ უნდა შევადგინოთ ეს? (მსგავსად „სახედგამისა“, „საბღიტგამისა“ და სხვ.). ეს, სხვათა შორის. მთავარი კი ისაა, რომ „გოფდექტი“-ს დირექტორმა მოწერილობა გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ვერაფერი გაუგო და თავი გაითავისუფლა „წარწერით: „შეადგინეთ ახსნა-განმარტებითი ბარათი“-ო.

რა ახსნა-განმარტება უნდა შეედგინა დირექტორის ხედექვითს! თანამშრომლებიც კი დაიხშარა, მაგრამ ყველას თავისებურად ესმოდა მოწერილობის შინაარსი.

როგორც მოსადღენედი იყო, იგი ხედიხედსაგომანებელი გახდა და ბოლოს „ნიანვის“ მაგიდაზე დაფრინდა.

მკითხველისათვის რომ უფრო გარკვეული იყოს ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი ამ დოკუმენტისადმი — თავიდანვე დავსძენთ, რომ მას თბილისის ოლქის პროკურატურის შტამპი აზის.

აი მთელი ტექსტიც: „გოფდექტის დირექტორს.

პღეხანოვის ქურა.

შებვედრილი საჭიროების გამო სასწრაფოდ

გადმოგვიგზავნეთ ხელშეკრულებების ასლი, „კინოფიკაციის დირექციიდან დადებული კინო თეატრის ბილეთების რეზოლუციის დროს, ბალით სარგებლობის ქარის დაწესების შესახებ — თქვენი ახსნა განმარტებით.

თბილისის ოლქის პროკურატურის საერთო

ზედაშხ. განყ. უფროსი იუსტ. ინც. მრჩეველი:

დგებუაძე.“

ეს რა ქართულია, ან რა „შებვედრილი საჭიროების გამო“ დასჭირდა პროკურატურის საერთო ზედაშხ. განყ. უფროსი იუსტ. ინც. მრჩეველს ასეთი საოცარი მოწერილობის შედგენა?

დარწმუნებული ვართ, თვით პროკურატურის მუშაკებმაც კარგად იციან, რომ არაზუსტი გამოთქმებით კი არა, უბრალო სასუენი ნიშნების გადასმითაც შესაძლოა ბოროტმოქმედი დამნაშავე გაამართლო, აღადმართად ადამიანს კი უსასტიკესეგ განაჩენი გამოუტანო.


ნიანბს არაერთხედ აღუნიშნავს ეს. ახლა კი აცხადებს ღია კონკურსს:

ვინც ნიანბს ყვედაზე უკეთ გააგებინებს და განუმარტავს ამხ. დგებუაძის მიერ შედგენილ მოწერილობის შინაარსს, — ნიანგი დაბეჭდავს თავის ფურცლებზე და გაასკვებულ ჰონორარსაც გადაუხდის.


შენიშვნა:

კონკურსში მონაწილეებს შეუძლიათ ახალი ფაქტიური მასალებიც დაურთონ თავიანთ ნაშრომებს.





# ქვემოთნური კამათოები



თბილისი  
1949 წლის  
10 თვე

როგორ! თქვენ არ იცნობთ ხანჯალაშვილს? ვახტანგ ხანჯალაშვილს—ჯადოქრული კამათლების მფლობელს! აფსუსს, რომ არ იცნობთ! მთელი თელავი კი კარგად იცნობს. არ გჯერათ? აფსუსს, რომ არ გჯერათ! რაღა დამრჩენია, უნდა დაგიმტკიცოთ. აი, მაგალითიც: 1949 წელს კამათლებს ჩაუთქვა კომკავშირის რაიკომის მდივნის ადგილი:

— დუშაში, კამათელო!

მოვიდა დუშაში! პატიოსნებას გეფიცებით; ნამდვილად მოვიდა!

ხანჯალაშვილიც ადგა და დაჯდა თელავის ალკკ რაიკომის პირველ მდივანად. მდივანს ფეხით ხომ არ ატარებდნენ რაიონში? და რაიონის მილიციამ გადასცა მას ცხენი და ორთვალა.

მაგრამ ქვეყანაზე ავი კაცი არ დაიღვევა: დაბრუნდა შინ სამამულო ომის მონაწილე, სოფ. ნაფარეულის მკვიდრი გ. ხომიზური და დაიწყო სარაიონო გაზეთში კრიტიკული წერილების წერა. ხანჯალაშვილი მას ხან დაქვრივით დაემუქრა, ხან გადასახლებით, მაგრამ თქვენ ხომიზურის გაბედულება ნახეთ,— არ შეუშინდა. განა არ იცოდა ხომიზურმა, რომ კრიტიკა ქვევიდან მაშინ იშვიათზე იშვიათი ხილი იყო?.. რა ძალა ედგა? არ იცოდა, რომ კამეჩთან მორქვენალ ხარს რქები არ შერჩება ხოლმე? ჰოდა, თავის თავს დააბრალოს ხომიზურმა, რომ ხანჯალაშვილმა აიღო და ბიუროზე მის დაუსწრებლად გარიცხა კომკავშირის რიგებიდან: „დაბეზლებისა და ინტრიგანობის გამო“.

მაგრამ არც ახლა მოისვენა ხომიზურმა: საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში იჩივლა. ხანჯალაშვილმა კი ჩაიციხა და ისევ ჯადოქრულ კამათლებს მიმართა:— დუშაში, კამათელო!

დაჯდა დუშაში და ხანჯალაშვილის კომკავშირელმა „ძიამ“ საქ. კომკავშირის მაშინდელმა ვაიხელმძღვანელმა კინწის კვრით გამოაგდო ხომიზური კაბინეტიდან.

კიდევ არ მოისვენა ხომიზურმა: ვერაფრით ვერ შეეღია სამამულო ომის ქარ-ცეცხლში გამოვლილ კომკავშირულ ბილეთს და მოსკოვში წავიდა საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში. და აი, საკვირველება!— ალაღვინეს! ხანჯალაშვილის გარიცხული ალაღვინეს!

გამოხდა ხანი და ხანჯალაშვილი რაიონში კომკავშირული მუშაობის ჩაშლისათვის მოხსნეს თანამდებობიდან, მაგრამ დაჯდა ისევ დუშაში და პარტრაიკომის ინსტრუქტორის ადგილს დაეპატრონა „ყოვლისშემძლე“ ვახტანგი.

გასულ წელს თელავის რაიონის სოფ. სანიორეს „პირველი მაისის“ სახელობის კოლმეურნეობაში კონცერტის ჩასატარებლად თბილისიდან მოვლენილი მსახიობთა ჯგუფი მივიდა ხანჯალაშვილის მეგზურობით. ჯგუფმა ორ-სამ წუთში რაღაც წაიძღვრა და მერე დაიძრა ალაზნის პირად აყრილ ხეების ჩრდილში გაშლილ სუფრისკენ, სადაც თამადად ხანჯალაშვილი დადგა. მან იქ თავისი საკუთარი ხელით წაიყვანა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცხვარი და დააკვლევინა: „თავმჯდომარეს პასუხს მე გავცემ“—ო,— ცხვარს 7 ქათამი წააკლა, ქათამს—60 ლიტრი ღვინო დააყოლა და ჩატარებულ კონცერტში „გასამრჯელოდ“ 4.000 მანეთიც გამოატანინა კოლმეურნეობის სალაროდან.

და განა ცუდად მოიქცა? განა შეიძლებოდა უპურმარილოდ გაეშვა ასეთი საპატიო სტუმრები დამქანცველი კონცერტის შემდეგ? მართალია, დღესაც ეს პროდუქტები გატაცებულად ითვლება კოლმეურნეობიდან, მაგრამ ვინ იტყვის ხმამაღლა, სანამ ხანჯალაშვილი ჯადოქრულ კამათლებსა

ფლობს? მან აქტიური მონაწილეობა მიიღო იოსებ მელიქიძის ოჯახში გამართულ ვახშამში, სადაც დაიკლა კოლმეურნეობის კუთვნილი ორი ცხვარი, 2 ბურვაკი და 11 ქათამი, 100 ლიტრი ღვინო და ასი კილო პურიც თან მიჰყვა. ეს ქონება კოლმეურნეობიდან გატაცებულად ითვლება დღესაც, მაგრამ ხანჯალაშვილისა რა ბრაღია?

დაე ისიც ჩუმიად ილაპარაკონ, 8 მარტს რომ ამივე კოლმეურნეობის მონაგარიშე მარგო კოტიაშვილის ოჯახში, რომელსაც ქმარი სამამულო ომში დაეღუპა, ვახშამზე ხანჯალაშვილი საშინლად მთვრალი მივიდა და მარგო კოტიაშვილს— მრავალმნიშვნელოვნად განუცხადა: „კოლექტივის ქონება აქ არი და ამაღამ მეც აქ უნდა დაეწვეო“. მაგრამ როცა სანიორეს სას. საბჭოს თავმჯდომარე დიანოზ ძებისაშვილმა მას წესრიგისაკენ მოუწოდა, ხანჯალაშვილმა მასზე საცემად მიიწია. აბა ეს რა სალაპარაკოა? განა გასაკვირვებელია, რომ ხანჯალაშვილს კოლექტივის ქონებასთან უყვარდეს წოლა? მთელმა სოფელმა იცის, რომ როვლის დროს მას „პირველი მაისის“ სახელობის კოლმეურნეობიდან მიჰქონდა ყუთებით ყურძენი, ჩურჩხელებისათვის ტკბილი და ღვინო, რაშიც ფულს არ იხდიდა.

ვახტანგ ხანჯალაშვილს ტყუილად უგონებენ ქორებს და ბრაღს სდებენ ლამაზ ასულთა სიყვარულში. როგორ! მ. ს-თან რომ მიიპარა ერთ ღამეს მთვრალი დასაძინებლად, მაშ კარი არ უნდა გაეღო „იმ დასამიწებელს“? არა, რა იყო, რომ დილა-უთენიათ საბჭოს თავმჯდომარეს მიაღდა და შესჩივლა: „წუხელ ხანჯალაშვილი მოვიდა ჩემთან, კარი არ გავუღე და დამემუქრა: „შენს თავს სამსახურიდან მოვახსნე ნებო“? მეღბუნქტის ექთანის ნინა გ-ც ასე მოიქცა; საქმე შემდეგში იყო: ხანჯალაშვილმა ნინას დააგულა, რომ სოფ. ართანაში მცხოვრებ ი. გ-თან გაეწია „პროტექცია“, მაგრამ ნინამ არ შეუსრულა; შემდეგ სოფ. სანიორეში მცხოვრებ ს. ის-ზე შეეხვეწა და რაკი ნ-მ ყურად არ იღო, ხანჯალაშვილმაც შორს სირბილს ახლოვე ამჯობინა და თვითონ ნინას დაუკეტა კარები და პირდაპირ უთხრა: „რაკი იმართთან საქმეს არ მიკეთებ, მაშინ შენ გასწიე მათი მაგიერობაო“. (გვარებს შემოკლებით ვბეჭდავთ, ვინაოდან „ნინაგს“ უხერხულად მიაჩნია მათი გამოაშკარავება) ნ. გ-იამ მოასწრო გარეთ გამოვარდნა და მაშინვე საბჭოში გაიქცა. აი ხათაბალა თუ გინდათ—ეს არი!—რა გაუხდათ ამ ქალებს ეს საბჭო? ხანჯალაშვილმა ერთი კი მიაძახა:— დაგეწვას ძვლები, რათა ხარ ეგეთი უპურმარილოო? მაგრამ ნინამ მოხედვითაც არ მოიხედა უკან.

გამოხდა კიდევ ხანი. ხანჯალაშვილს მოეწყინა ინსტრუქტორად ყოფნა და ყარა კამათლები:

— დუშაში, კამათელო!

დაჯდა დუშაში.

— უჰ, შენ გენაცვალე! კიდევ დუშაში, კამათელო!

კიდევ დაჯდა დუშაში და ხანჯალაშვილმაც პარტრაიკომის პარტიულ პროფკავშირულ-კომკავშირული განყოფილების გამგის ადგილი მიიღო რაიონში.

დაჯდა ამ ადგილზე ხანჯალაშვილი და წარსულს ახლა მხოლოდ კომკავშირის რაიკომის მდივნობის დროს გადაცემული ცხენი და ორთვალა გაახსენებს, რომელიც ეს სამი წელია, რაც თავის მამას გადასცა საჩუქრად. ცოლ-შვილის პატრონია, მაგრამ პურ-მარილსა და ქალებს არც ახლა ივიწყებს. ახლა უფრო მეტი უფლებამოსილებით ნიშნავს და ხსნის სამსახურიდან ხალხს, ხოლო თელავის მთელ რაიონს თავის ჯადოქრულ კამათლებზე ალაპარაკებს...



# ქართული



# წიგნი

ქართული  
წიგნი



ნომრიდან ნომრებზე გადასვლისას, შესვენების დროს, ბერიკას ოინები მყუერებულ ახარბარცდა. ბერიკას ხან ცხენაკა შეშობავდა, ხან აღწეკაცია; ხანაც თოჯენ გარბნილ ჯამბაზებს გამოუდგებოდა და მათზე მარად დაჰქროდა ჰაერში.

სულ ბოლოს, გუმბათის ქვეშ, რადღინმე მეტრის სიმაღლეზე, ისეთი ორობრილო შეიქმნა, რომ მყურებელ ფეხზე წამოიდა, მოწონების შეძახილები დიხანს ზრდამცხრალა და აღდაცხელმა ტანსაცემამ უზარმაზარი დარბაზი გააჩრუა.

ფუტკრობთ, ყველაფერს ვასაგებია, რომ ამ შესანიშნავი საღამო წარმოადგინის ავტორები ქართული ცირკის ოსტატები იყვნენ.

— დაიკაო, დაიკაო!... — თითქოს მესმის ამ სტრიქონების მკითხველთა გაკვირვებული შეძახილები: — მაშასადამე, თვენ ამბობთ, რომ... მალე, სულ მალე, ჩვენ ვიხილავთ...

მოთმინებთ, მეგობრებო, ჯერ არ დამიშვებოთ. უნდა გამოვტყდეთ, ის თვალწარმტაცი სურათი ჩვენი ფანჯარის ნაოფია, ნაშ, მოდით და თქვენთან ერთად შევეცითოთ ჩვენი ცირკის შესვენურთ:



დაიკაო, დაიკაო!...  
ლელი მუტაღ გვიყვარს,  
მაგარი ტიქვის სწორი:  
ფახასის ჩვენი დილი,  
ჩვენი ირიტკორი!  
დაიკაო-ილიდააააა

კარგად მომინწინეთ, მეგობრებო, ერთი არაჩვეულებრივი ამბავი უნდა გიაზმოთ: შესანიშნავი შერბაში ვიყავი. უცხად პროექტორების სინათლემ თვალზე დამინწილა, შემდეგ მუსიკის მელოდიურმა ხმებმა ჩემი ყურთა სმენა მიიპყრო, ცოტავე და არწუნებ გამოვიღე შეგვრემანი ვიყავიო, რომელმაც გამოაცხადა, რომ იწყებოდა...

და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო... ჯერ საქილო ტანსაცემული გამოწყობილი ვიყევი გამოვიდნენ და ქართულ საქილო ფანდების გამოყენებით ისეთი კორიანტული დააყენეს, რომ გაოცებისაგან დიხანს თვალზემ არც კი დამიხამებოდა. ისინი ტანწურწურტა გოგონებმა შეცვალეს, რომლებმაც ქართულ საცეკვაო ოლთების მიხედვით ტანის დახვეწილი და თვალწარმტაცი მოხერხობა დაგვიანებეს. შემდეგ შეფრინდნენ ჰაერში მოქანავე რეკორდზე და ორმელებზე ჰაერში შეძახილი გაისმა. არწუნებ შემოვიდნენ ბედაურები, მაგრამ რა ბედაურები!... პატარა ბიჭები ცხენებზე სულ მალაყებს გადადიოდნენ. ბიჭების შემდეგ ქალი მხედრები გამოვიდნენ, ქალების შემდეგ — ვიწვენი, დაიწყო ისინდის, ყაბახის, ჩეხების, ჯირითის, ცხენბურთის მავგარი სანახაობათა ჩვენება, თავისებურ მატკრულ ფორმებში ჩამოყალიბებული.

შესვენების შემდეგ წარმოდგენილი იქნა ოქრო-რისტული სასამღლო კალსტები, სატირული და შესიკალური ნომრები.

ერთი თვალმძიქვი ათეკტიონ ორიდებზე შემდგარიყო, თავით ჰუკის მიბჯევიდა, მალდიდან გვილიმოდა და საღამს გეთელოდა.



ნა. დ. ერისთავისა და ვ. მანგუკიას

— განა ჩვენში არ არსებობს იმის შესაძლებლობანი, რომ ისეთი არაჩვეულებრივი სანახაობა ჩვეულებრივ მოვლენად ვიციოთ!..

— ნუთუ თბილისი პროვინციული ქალაქია, სადაც მხოლოდ სავასტროლოდ ჩამოსულ საბჭოთა ცირკის ოსტატებისათვისაა პირობები შექმნილი და... მეტი არაფერი!..

ქართველ ხალხში მრავალდ მოიპოვება ისეთი ძველი ხალხური სანახაობა-გასართობები, რომლის საფუძველზე შეიქმნებოდა ახალი, უჩვეულო საცირკო ნომრები, ამით ჩვენ დიდ სახალხო საქმეს გავაკეთებდით და საბჭოთა ცირკის რეპერტუარსაც გავამდიდრებდით, მას საინოვანებო ნაწავდნენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეშიც.

ხომ არსებობს უზბეკური ცირკი, სადაც თავმოყრილია მხატვრულად დახვეწილი უზბეკური ნაციონალური სანახაობანი, გვიანხავს აზერბაიჯანული ცირკიც... ხომ უჩვეულებრივ უკრანდლ და ბელარუსულ ხალხურ სანახაობათა მიხედვით გავითვალისწინებელი ნომრები!.. რა შესანიშნავი შეთხვევითაა სტრეცის კახა ცხენოსანთა ჯირითი.

ქართველი კოლმურენ ცხენოსნები სპორტულ შეჯიბრებებში საკავშირო არწუნებ პირველ ადგილებს იღებენ და ცირკის არწუნებუ ჩვენი ცხენო-



სნობის ნაციონალური სახეების ახალი მხატვრული ფორმის ჩვენება აზრად არავის მოსულა!

თბილისის ცირკის ხელმძღვანელებს არც ერთი ქართველი ცირკის ოსტატი არ გაუზრდიათ. ისინი, მათდა სამარცხენოდ, ქალაქში ქართულ ენაზე აფიშების გაკეთებასაც ერიდებოდა.


როდესაც ჩვენში სავასტროლოდ ჩამოდიან საბჭოთა ცირკის სახელმძღვანელო მსახიობები: დღური თუ კაო, ბუფრიმთა თუ მანველი, მოულს ქალაქს მოვიწინება ხოლმე ათასი ფერებით აჭრულგულული რტყლამა: უზარმაზარი დაივები და აფიშები მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე შესრულებული. ნუთუ ცირკის დირექტორა თუ ვალდებულად არ თვლის თბილისელ მყურებელს ქართულ ენაზე, აფიშისა და გავთუბის საშუალებით მიიწვი აქ, ზოგის თაყისი საღამო წარმოდგენის შესახებ?!

ცირკის ადმინისტრაციის დროგამოშვებით თაყისი რეჟისორ-დამდგენლებიც ყავს, თაყისი ავტორებიც, მაგრამ მათი მოიფიქრება სადღესასწაულო პარადების გამართვითა და მასხივში პროლოგ-ეპილოგების დადგვით ამოიწურება.

თბილისში ცირკის სემინარი ოქტომბერში ისინება და აპრილში იხევათ. ის ექვსი თვის მუშაობაც მხოლოდ და მხოლოდ გასტროლორი მსახიობების მიღება-გასტრუმებით ივარაგლება. დანარჩენი ექვსი თვე ცირკის ადმინისტრაცია სრულ უმოქმედობით წებერობს. ამ წინს განაშობაში არწმინდ ქართველთა სახეის გაცეთება შეიძლებოდა!..

ნუთუ ჩვენთვის საამაუოდ მხოლოდ ის ცმარა, რომ თბილისში ცირკის შესანიშნავი შერბა გვაქვს!..





არც მეცნიერებას ჩემულობს, არც მსახიობის სახელი აქვს გავარდნილი გრიგოლ გიორგობიანს. ჩემი შოფრობის სტაჟიკ მეყოფაო, — ამბობს ის და ამ პროფესიას უმადლის, რომ ა. კ. რკინიგზის სამმართველოს უფროსის მანქანის მძღოლია.

— ტყუილად როდია ნათქვამი: „მტვერიმც დამყრია დიდი გორისაო“, კაცის მფარველობას ადვილად მოიპოვებს ასეთი თანამდებობის ადამიანიო, ფიქრობდა. ამ მოსაზრებებით „ალქურვილი“ გრ. გიორგობიანი 1949 წელს გაეყარა ცოლს და ორჯონიკიძის ქუჩიდან (№ 80) ლენინის რაიონში, საზღვრის ქ. № 30-ში გადავიდა საცხოვრებლად. აბა, მაშ რა უნდა ექნა? კაცმა ახალი სახლი წამოქიმა, ოთხი ოთახი გააწყო, ცოლს ზურგი აქცია, იმ ერთ ოთახში ხომ არ დარჩებოდა?

როგორც მოსაზრებულმა კაცმა, ცოლთან გაყრამდე ერთი წლით ადრე განუცხადა რკინიგზის სამმართველოს: რკინიგზის უწყების ბინა აღარ მესაჭიროებო.

„აღარ ესაჭიროებო!“ — ყურში ჩაეწვეთა რკინიგზის სამმართველოს შენობათა და ნაგებობათა სამსახურის უფროსს ალექსანდრე დავითის-ძე ქოქრაშვილს. მან იმ წუთშივე ცხელი არზა გააფორმა, ბინის კანონიერ მფლობელს მარიამ მარგალიტაძეს გაფრთხილება მისცა: „ოთახი უნდა დასცალოო“. მაგრამ მარიამი არ გამოდგა გულუბრყვილო: ოთახიდან ქუჩაში არ გამოსახლდა, როგორც ამას ქოქრაშვილი ურჩევდა.

გაბრაზდა ქოქრაშვილი, ო, როგორ გაბრაზდა! — „ეს რა გამიბედაო“, და ახლა, მეორე, სხვა ხასიათის არზა გააფორმა, მაგრამ თავისას არ იშლიდა მარიამი. მაშინ კი ორმაგად გაბრაზდა ალექსანდრე და მარიამს ადმინისტრაციული წესით გამოუყარა ოთახიდან საოჯახო ნიეთები.

დალონდა ქუჩაში ბარგი-ბარხანით გამოგდებული მარიამი, ვეღარ გაუმკლავდა თავდამსხმელს და თვითმკვლელობა კინალამ ჩაიდინა, მაგრამ არ დაანებეს:

— ნუ გეშინია, ქალო, პატიოსან ადამიანს ქუჩაში როგორ დაგტოვებთო, — უთხრეს და ერთ-ერთმა მეზობელმა შეიფარა. ბრძოლასა და გაქირვებაში გამოიწროთო მარიამი. რაკი

თვითმკვლელობას გადარჩა, მან თავისი ბედი სასამართლოს მიანდო.

ახლა კი სამმაგად გაბრაზდა ალექსანდრე დავითის-ძე: სასამართლოს კარები ვინ ასწავლაო, და სამაგიეროს იმით უხდიდა, რომ პროცესზე საბინაო განყოფილების არც ერთი წარმომადგენელი არ დაასწრო და არც თვითონ გამოცხადდა. ამან კი რამდენჯერმე გამოიწვია სასამართლოს გადადება.

მარგალიტაძის საჩივარი სასამართლოდან სასამართლოში მოგზაურობდა, ირჩეოდა და ირჩეოდა საქმე, იმარჯვებდა და იმარჯვებდა მარიამი, მაგრამ არ ეძინა გაგულისებულ ქოქრაშვილსაც. იდგა და წლების განმავლობაში აპროტესტებდა სასამართლოს კანონიერ განჩინებას.

დაბოლოს, ერთ-ერთ მარჯაე დროს, ქოქრაშვილის სანქციით მარიამის ბინაში შესახლეს ვინმე ელენე წერეთელი, ბინა კი გააფორმეს ბორის წერეთლის სახელზე. ბორისი ამ ბინაშიაც ჩაეწერა და სხვა ბინაშიაც იყო ჩაწერილი.

ბორისი მაზლია ელენესი, ელენე კი — ბორისის რძალია... ქმართან (ე. ი. ბორისის ძმასთან) გაყრილი.

1952 წლის 22 იანვარს სასამართლომ უკვე მეზუთეჯერ გადაწყვიტა საქმე მარიამის სასარგებლოდ.

12 მარტს, დილით, ძლივს ელირსა მარგალიტაძეს თავის ბინაში შესახლება და ბორისის „რძლის“ გამოსახლება. მაგრამ დახეთ საკვირველებას! ეს ვაიგო თუ არა რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსმა დავით დიმიტრის-ძე ბერიძემ, არც აცივა, არც აცხელა და 12 მარტსავე, საღამოს, მარგალიტაძეს ოთახში მოქ. ჯიბლაძე შეუსახლა სამი შვილით, ხოლო მოქ. ჯიბლაძისათვის იმავე ეზოში განკუთვნილი ბინა იმავე დავით დიმიტრის-ძემ თავის ცოლისდას და სიდერს უსახსოვრა.


ხასიათის დიდი სიმტკიცე აღმოაჩნდათ პატივცემულ ბერიძესა და ქოქრაშვილს, რაკი თქვეს — თქვეს, თორემ ა. კ. რკინიგზის სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. ვაბუნიას განკარგულებას მაინც შეასრულებდნენ, მათ მიერ ამღვრეული წყლის დასაწმენდად.

მეყოლაფი

## გაყოფილის სკრატი

სოფელ ნაფარეულის კოლმეურნეები უწყლოდ დარჩნენ. ნიანგის თელაველი კოკაშვილი

ნან. დონისა



— ნიკა, შენ წყალი მაქარი ხომ არ გგონია, რომ ამოწვით მილს გადმოჰყვებს!..



ნახ. გ. ფირცხალავასა  
გერმანული  
წიგნობის

წვიმა, როგორც მოგეხსენებათ, ბუნების მოვლენაა და გრაფიკს არ ემორჩილება. წამოუშენს შხაპუნით და არავის კითხავს: სახლი გადახურული გაქვს თუ არა კრამიტით, ლოგინი და ჯამ-ჭურჭელი ხომ არ გისველდებაო.

ასე იქცევა ის შეჩვენებული წვიმა [თვით საგარეჯოს რაიონის სოფელ ჩაილურშიც, ასე იქცევა და კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი ქვეხიშვილის რეზოლუციებისაც კი არ ერიდება. აღნიშნული კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის გამგეს ნინო ქვეხიშვილს უკრამიტო სახლი ჰქონდა. წვიმამ მას შვიდი დღე აწვიმა. ნინომ გადაწყვიტა—გადავდებ მთელი წლის შრომადღეების შემოსავალს, კრამიტს ვიყიდი და სახლს გადავხურავო. მაშ რა ექნა? ქმარი სამამულო ომის ფრონტზე დაკარგა, ერთი შვილი ჰყავს, იმასაც ხომ ნესტიან სახლში არ დაავადმყოფებდა?

მან განცხადება მიართვა თავმჯდომარეს, აუხსნა თავისი გაჭირვება და სთხოვა შრომადღეების საფასი. ცოდვას თავზე ვერ ავიღებთ, თავმჯდომარემ არ დააყოვნა და მის განცხადებას ქიმზე მიაწერა: „ბ. გაეციო“.

ამის შემდეგ ნინოს განცხადებამ „ბ.“-სთან გადაინაცვლა. „ბ“-მ, (ესე იგი კოლმეურნეობის ბუხალტერმა მიხეილ დოდოშვილმა) თავისი რეზოლუცია დაუმატა და ის მოანგარიშე ლოლაძესთან გაასეირნა. კვარტალიც კი არ ვასულა, რომ უკანვე დაბრუნდა რეზოლუცია-განმარტებით: ნინო ქვეხიშვილს დღეის რიცხვამდე გამოუმუშავებული აქვს 150 შრომადღე და ფულად 480 მანეთი ერგებო.

დოდოშვილმა აპით „ამოწურა“ თავისი მოვალეობა: სამრეზოლუციანი განცხადება თავის უჯრაში უძახა და ზემოდან სხვა ქალადღები დააყარა.

წვიმა კი თავისას არ იშლიდა, უშხაპუნებდა და უშხაპუნებდა უკრამიტო სახლში და იატაკზე დადგმულ ტაშტ-ჯამ-ჭურჭელში სხვადასხვა ნოტებს ახმაურებდა. კიდევ მიმართა ფერმის გამგემ თავმჯდომარეს.

— რა გინდა, ქალო?—მრისხანედ შეეკითხა იგი.

— ის მინდა, რომ სახლში წვიმა ჩამომდის.

— ერთი უყურე ამასა, რეზოლუცია ხომ დავადე, მაინც ჩამოვდის?

— რეზოლუციები შენმა ბუხალტერმაც დაადო, მაგრამ წვიმას რას შეაგნებინებ?

— მართლა? მაშ მოიტა კიდევ დავაწერ...

და თავმჯდომარე ქვეხიშვილმა ფერმის გამგე ქვეხიშვილის განცხადებას კიდევ მიუმატა რეზოლუცია: „ბ. გაეციო“-ო.

ეს რეზოლუციები 1951 წლის შრომადღეებს ეხება. როგორც ვიცით, 1951 წელი ათი თვის წინათ გავიდა, ნინო ქვეხიშვილის განცხადებამ კი ჩაილურის წყალი დალია და ნინო არათუ კუთენილის, არამედ პასუხის მიღებასაც კი ვერ ეღირსა. ეს მაშინ, როცა თავმჯდომარე ქვეხიშვილმა დანარჩენ კოლმეურნეებს დიდი ხანია რაც ანგარიშები გაუსწორა.

რას იტყოდა თვით გიორგი ქვეხიშვილი, მისი უსულგულო მოქმედების შესახებ დამსახურებული რეზოლუცია რომ დაიწერებოდა?

არგვეთიელი



— ასე საგანგებოდ რომ ეწყობი ამ კვირა დღით, სად მიდისარ, ციანა?

— ვაქის სახაფლაოზე. ლია, მზია, ლიანა და რუსიკო, ყველა, ყველა იქ აპირებს დღეს თავის გამოჩენას, ვნახოთ მაჯობებენ თუ არა...


— აბა, თუ აგრეა, მეც იქ მოვდივარ... ნეტავ ვისი პანაშვილია?

— არ ვიცი, მგონი ვიღაც აგრაფინას დედამთილის ორმოცია...

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა მ ე. საკრედიტო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.


თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Ниванги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასახ. 1952 წ. 25/X. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შვკ. № 2658 გამოც. № 20. ტირ. 15.000. უფ. 14991.



**ზღვა საბჭოს ქუჩაზე**

ვიცი, ხვდება კაკად გულში რომ ჯერ კიდევ საბჭოს ქუჩა  
 საბჭოს ყველა თანამშრომელს, ხშირად ზღვას ჰგავს დასაშრობელს



**ოჯონიკიძის ქუჩის მთავრობები**

აღპინიზმის სიყვარულმა ც თეხით უნდა გადავდახლო  
 ქვა აღმართში აგვიგორა, ყოველ დღილ ნაგვის გო



**ზღვა სკოლის წინ**

ჩვენს პატარა მეზღვაურებს ჩვენი ქუჩის უსარგებლო  
 შუბლი უნდა დავუკოცნოთ,— ზღვა აქციეს სანაოსნოთ!



**მთა კოლმეტივიზაციის ქუჩაზე**

სისუფთავის დაცვის ტრესტთან შუა გზაზე ზღვა  
 ამ სურათმა დამამდურა,— მთაგრეხილი ამარა



**ზღვა საბურთალოზე**

საბურთალოს რაიონში მანქანა რომ დაინახავს.  
 ასეთი ზღვა მრავალია, შიშით მოსდის აფარია!



**ჯავის ქუჩის დასაწყისთან**

არა, ამგვარ საცალფუხო ჩვენს ქუჩაზე წივილის შ  
 ბილიკს ქუჩა არა ჰქვია, ვზა კი არა—არაგვია!..